21.03.2022

# იმპორტის ფასების ინდექსი საქართველოში

2022 წლის თებერვალი

იმპორტის ფასების ინდექსი **წინა თვესთან** შედარებით გაიზარდა 1.7 პროცენტით, ხოლო წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით სახეზე გვაქვს ინდექსის 10.7 პროცენტიანი ზრდა.

**წინა წლის შესაბამის თვესთან** შედარებით ფასები 28.3 პროცენტით გაიზარდა სამთო-მოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქციის ჯგუფზე. დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციაზე ფასების 9.1 პროცენტიანი მატება ფიქსირდება, ხოლო ელექტროენერგიის, აირის, ორთქლისა და კონდიცირებული ჰაერის ჯგუფზე - ფასების 10.4 პროცენტიანი კლება. რაც შეეხება წყალმომარაგების, კანალიზაციის, ნარჩენების მართვით და რეკულტივირებით მომსახურების ჯგუფს, სახეზე გვაქვს ფასების 5.7 პროცენტიანი შემცირება.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2022 წლის თებერვალში იმპორტის ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსების ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

| კოდი | ჯგუფები და ქვეჯგუფები | 2021 წლის თებერვალთან | წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში |
|---|---|---|---|
| | **სულ** | **110.7** | **10.69** |
| **B** | **სამთო-მოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების პროდუქცია** | **128.3** | **2.70** |
| **C** | **დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია** | **109.1** | **8.11** |
| 19 | კოქსი და რაფინირებული ნავთობპროდუქტები | 152.9 | 4.18 |
| 24 | ძირითადი ლითონები | 134.3 | 1.11 |
| **D** | **ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და ცხელი წყალი** | **89.6** | **-0.09** |
| **E** | **წყალმომარაგება, კანალიზაცია, მომსახურება ნარჩენების მართვით და რეკულტივირებით** | **94.3** | **-0.03** |

*რიცხვების  დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

21.03.2022

**იმპორტის ფასების ინდექსი**

(წინა წლის შესაბამისი თვე = 100)




**საკონტაქტო პირი:**

გიორგი თეთრაული. ტელ: (+995 32) 236 72 10 (400). E-mail: gtetrauli@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelashvili@geostat.ge